ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

თვითმმართველი ქალაქი რუსთავის

საკრებულო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №11

2010 წლის 21 ივლისი

საკრებულოს დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების
შეტანის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43–ე მუხლის მე–2 პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–20 მუხლის შესაბამისად

თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულო

ა დ გ ე ნ ს:

მუხლი 1.

„თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს დებულების დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს 2010 წლის 2 ივლისის №1 დადგენილებაში შევიდეს ცვლილებები და დამატებები:

1. მე–3 მუხლის მე–5 პუნქტს დაემატოს შემდეგი რედაქციის „ბ[1]“ ქვეპუნქტი:

„ბ[1]) განკარგულებით დაავალოს საკრებულოს თავმჯდომარეს განსაზღვროს პარტნიორის უფლებამოსილების უშუალო განმახორციელებელი ფიზიკური ან იურიდიული პირი (თვითმმართველი ერთეულის მიერ დაფუძნებულ კერძო სამართლის სუბიექტების მიმართ)“.

2. მე–17 მუხლის მე–2 პუნქტს დაემატოს შემდეგი რედაქციის „შ[1]“ ქვეპუნქტი:

„შ[1]) თავისი ბრძანებით ახდენს დამფუძნებელი პარტნიორის უფლებამოსილების უშუალო განმახორციელებლის და მისი დავალების განსაზღვრას.“

3. 107–ე მუხლის მე–7 პუნქტში შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. საკრებულოს მიერ მიღებული სამართლებრივი აქტი აპარატის იურისტის ექსპერტიზის და აპარატის უფროსის ვიზირების შემდეგ ხელმოსაწერად გადაეცემა საკრებულოს თავმჯდომარეს.“

4. 108–ე მუხლის პირველ პუნქტში შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საკრებულოს ნორმატიული აქტის პროექტი ქვეყნდება საკრებულოს ვებ გვერდზე – www.rustavi.ge საკრებულოს აპარატში რეგისტრაციიდან 5 დღის ვადაში“.

5. 136–ე მუხლის მე–2 პუნქტში შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საკრებულოს აპარატის უფლებამოსილება და მუშაობის ორგანიზება განისაზღვრება საკრებულოს აპარატის დებულებით, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს საკრებულო.“

მუხლი 2.

დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ***კახა გურგენიძე***